№ 64 მთავრობის მოამგე უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. კვირა, 21 მარტი 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

## სახელმწიფო თეატრი
ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით
კვირას, 21 მარტს ორკესტრის ბენეფისი გ. ნ. სტაროსტინას მონაწილეობით
## რომეო და ჯულიეტა
ორშაბათს 22 მარტს ნ. პ. კოშიცის ბენეფისი: „ტოსკა“. სამშაბათს, 23 მარტს „სევილიელი დალაქი“. 336

## დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ მის მიერ დადასტურებულია დამფუძნებელი კრების მეორე დამატებით არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების, უპარტიოთა კავშირის, აფხაზეთის ეროვნულ-დემოკრ. და აფხაზეთის უპარტიოთა კავშირის საკანდიდატო სიების შეერთება.
332 3—2 ცენტრალურ საარჩევნო კომისიის პრეზიდიუმი

## ოფიციალური განყოფილება

## დეკრეტი
**ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარებად 1.500.000 მან. მიცემისა.**

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ერთი მილიონი ხუთასი ათასი (1.500.000) მან. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარების სახით მისაცემად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 16.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხ. **ექვთიმე თაყაიშვილი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## განკარგულებანი.
**დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა.**

6 მარტი, 1920 წ., № 4.

დამფუძნებელი კრების კანცელარიის საქმის მწარმოებელი ალექსანდრე სალარიძე განწესებულ იქნა იმავე კანცელარიის საბიუჯეტო-საფინანსო განყოფილების საქმეთა შართველის თანამდებობაზე ამა 1920 წლის იანვრის 15-დან.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

—

**საქართველოს სენატისა.**

17 თებერვალი, 1920 წ., № 1.

ამორიცხულია ტფილისის სასამართლო პალატის წევრთა სიიდან გიორგი კონსტანტინეს ძე ხარაზიშვილი მისი სენატორად არჩევის გამო.

17 თებერვალი, 1920 წ., № 2.

ინიშნება ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი იოსებ ილარიონის ძე კობიაშვილი ტფილისის სასამართლო პალატის წევრად 17 თებერვლიდან 1920 წლისა; დათხოვნილი არიან თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ოლქის სასამართლოს წევრნი: ტფილისისა-ვლადიმერ თედორეს ძე მანკო და დიმიტრი ელისეს ძე ჩერნიკი და ქუთაისისა ხიმონ ალექსანდრეს ძე გურევიჩი; მანკო 15 აგვისტოდგან 1919 წლისა, ჩერნიკი 1 იანვრიდან 1920 წლისა და გურევიჩი 1 სექტემბრიდან 1919 წლისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე
**დ. ხელთუფლიშვილი.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

8 მარტი, 1920 წ., № 65.

დაევალოს დროებით კანცელარიის მეორე განყოფილების უფროსის მოვალეობა სამინისტროს ხაზინადარს იოსებ დავითის ძე მაისურაძეს ამა წლის მარტის 6-დან.

16 მარტი, 1920 წ., № 77.

**თავისუფლება მიეცა:** ავადმყოფობისა გამო სამინისტროს კანცელარიის უფროსს დიმიტრი ილარიონის ძე წითლანაძეს ერთი თვის ვადით ამა წლის მარტის 16-დან.

16 მარტი, 1920 წ., № 78.

**დაევალოს დროებით:** იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის უფროსის მოვალეობის აღსრულება კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსს ივანე სვიმონის ძე ბერიაშვილს ამა წლის მარტის 16-დან.

18 მარტი, 1920 წ., № 81.

**დაევალოს დროებით:** იუსტიციის სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსის მოვალეობის აღსრულება ამავე განყოფილების უფროსის თანაშემწეს მიხეილ მათეს ძე მონასელიძეს ამა წლის მარტის 16-დან.

დეპარტამენტის დირექტორის თან. აღმ. **ჟორდანია.**

## ცირკულიარი
**რესპუბლიკის ყველა საკრედიტო დაწესებულებებს.**

უზომო გაზრდა ფასისა საზოგადოთ ყველა საჭონლის და განსაკუთრებით სასურსათო სანოვაგისა აიხსნება უმთავრესად საერთო მიზეზებით, როგორც: საჭონლის მცირედი რაოდენობით მოთხოვნილებასთან შედარებით, წარმოების შემცირებით, ქაღალდის ფულის ფასის დაცემით, ტრანსპორტის მოშლით და სხვა. ამ საერთო მიზეზებს აქვს მსოფლიო მნიშვნელობა, მაგრამ ამათ გარდა ადგილობრივ ბაზარზე ფასების გადიდებას უსათუოდ ხელს უწყობს, მიღებულ ცნობების თანახმად, საჭონლის დაგროვება შუაკაცების ხელში: ეს უკანასკნელნი კი აგროვებდენ საჭონელს საწყობებში მხოლოდ სპეკულიაციის მიზნით.

რადგან ეს გარემოება არსებითად ეხება მთელ ხალხის ინტერესებს და ახლანდელ დროში სრულიად მიუღებელია მისი დაშვება, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საკრედიტო განყოფილება, ბ-ნ ფინანსთა მინისტრის განკარგულების თანახმათ, წინადადებას აძლევს ყველა საკრედიტო დაწესებულებებს:

1) შესწყვიტონ განსაკუთრებულ განკარგულებამდე სესხის გაცემა და სპეციალური სახელდახელო ანგარიშების გახსნა დაგირავებით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საწყობებში შენახულ ყოველგვარ სასურსათო სანოვაგისა, ან მანუფაქტურის და ფეხსაცმელებისა.

2) გასცენ სესხი და გახსნან სპეციალური სახელდახელო ანგარიშები დოკუმენტების გიროს „ქვეშ იმისთანა საჭონელზე, რომლებიც საქართველოს საზღვრებს გარეთ არიან. დაგირავება შეიძლება არა უმეტეს ერთი თვის ვადისა შემდეგის წესების დაცვით:

ა) ჩამოთვლილი საჭონელი და სანოვაგე უნდა დაუყონებლივ იქნეს შემოტანილი პირდაპირ რესპუბლიკის საზღვრებში. ამ პირობის გარანტია ბანკს უნდა მისცეს იმ პირმა, რომელმაც მიიღო სესხი.

ბ) აღნიშნული საჭონელი და სურსათი რესპუბლიკაში შემოტანისთანავე უნდა იქნეს გამოსყიდული არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისი შემოტანისა რესპუბლიკის საზღვრებში.

3) ყოველ კერძო შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს თანხმობით საკრედიტო დაწესებულებებს შეუძლიათ გასცენ სესხი და გახსნან სპეციალური მიმდინარე ანგარიშები იმ სასურსათო სანოვაგის და საჭონლის გირაოთ მიღებით, რომლებიც არიან საქართველოს საზღვრებში და ეკუთვნიან ქალაქებს, ერობებს, (აგრეთვე ქალაქთა და ერობათა კავშირებს კოოპერატიულ ორგანიზაციებს და) მათ შორის საკრედიტო კოოპერატიულ დაწესებულებებს.

4) ამ განკარგულებამდე გაცემული სესხი სპეციალურ მიმდინარე ანგარიშის სახით ზემო აღნიშნული სასურსათო სანოვაგის და საჭონლის, ან მათზე გაცემული დოკუმენტების დაგირავებით უნდა დაჭრობილი იქნეს ერთი თვის ვადაში დღიდან ამ განკარგულების გამოცემისა.

5) დაუყონებლივ იქნეს წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებაში ცნობების შესახებ გაცემული სესხისა და ყოველგვარ საჭონლის დაგირავების გახსნილ სპეციალური მიმდინარე ანგარიშებისა, ამასთანავე დართული ფორმით.

6) ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო განყოფილებას ევალება სასტიკათ ადევნოს თვალყური, რათა ზევით მოხსენებული იქნეს სისრულეში მოყვანილი და ყოველ შემთხვევაში როდესაც ეს განკარგულება დარღვეული იქნება, დამნაშავე მისცეს პასუხის გებაში.

საკრედიტო განყოფილების
უფროსი ხ. **ჟორჟოლიანი.**

## დამფუძნებელი კრება
**მარტის 19-ის სხდომა**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

სხდომას აუარებელი გარეშე საზოგადოება დაესწრო. მთელი დარბაზი ხალხით გაჭედილია. ყველას აინტერესებს თუ რას იტყვის საქართველოს ხალხის ნება-სურვილის უზენაესი ნების გამომხატველი დამფუძნებელი კრება და მის მიერ არჩეული და ნდობით აღჭურვილი მთავრობა ბათუმის საკითხის შესახებ. სასახლის წინ ზღვა ხალხს მოეყარა თავი და იქედან გუგუნი მოისმის. სხდომა იხსნება 12 ს. 15 წუთზე. პირველ რიგში კრება იხილავს ადერბეიჯ. და საქართველოს მთავრობათა შორის დადებულ სატრანზიტო ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ერთობ გრძელია და ხალხი მოუთმენლად მოელის ბათუმის საკითხზე გადასვლას ხელშეკრულებას დამფუძნებლი კრება ერთხმად ადასტურებს. ხელშეკრულების ძალით დაწესებულია თავისუფალი ტრანზიტი გარედან შემოტანილ საჭონლისა ადერბეიჯანის და საქართველოს ტერიტორიებზე და აგრეთვე ხელშეკრულებაში აღნუსხულია წესი ადერბეიჯანიდან საქართველოში და პირიქით საჭონლის შემოტანა-გადატანისა. ხელშეკრულება დადებულია 1 წლის ვადით. კრება გადადის ბათუმის საკითხზე.

**ბათუმის საკითხი.**

სოც.-ფედერალისტების შეკითხვას მთავრობისადმი ბათუმის საკითხის მდგომარეობის შესახებ ასაბუთებს ს. მდივანი, რომელიც აღნიშნავს რომ წინააღმდეგ ხალხის სურვილისა, ისტორიისა, კულტურისა და ეთნოგრაფიისა ბათუმი ძალადობით ჩამოგლიჯეს დედა საქართველოს, ერთი ნაწილი მოჰკვეთეს მის სხეულს, თუ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს არ დაუბრუნდა, მას (საქართველოს) გაუჭირდება ცხოვრება, გაუჭირდება სუვერენობის შერჩენა. ბათუმი უნდა დაუბრუნდეს თავის ნამდვილ პატრონს. ჩვენ გვაქვს ამის მორალური, ისტორიული და „ბუნებრივი უფლება, ვინც ამაში შეგვედავება, ის ჩვენი მტერია. ბათუმი ჩვენი კულტურის აკვანია, ბათუმი აშენებულია ქართველი ხალხის მიერ, თვით ქართველმა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ პირველად მათუმში აიდგა ფეხი და იქ დაიღვარა პირველი სისხლი. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ ჩამოგვგლიჯა ბათუმი და ამ ხელშეკრულებით გათამამებულმა ოსმალეთმა ისტორიული ბოროტება ჩაიდინა. მოკავშირეებმა ბრესტის ხელშეკრულება გააუქმეს, ყარსი დაუბრუნეს პატრონს, ხოლო ბათუმის შესახებ ეს არ გამოიყენეს, დღეს ვინ გინდათ რომ ბათუმზე პრეტენზიებს არ აცხადებდეს. თავის სამშობლოდან გაქცეული სერვეტ-ბეგი, მას დასდევენ დენიკინის აგენტები—რუსები და თავის სამშობლოდან გამოქცეული ოსმალები. შემდეგ ორატორი ეხება მეზობელ რესპუბლიკების დამოკიდებულებას ბათუმის საკითხთან და ამბობს, რომ ჩვენ არ მოგვისმენია ბათუმის შესახებ გადამჭრელი სიტყვა, მოკავშირეების პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში ასე ახასიათებს ორატორი: გაყავი და იმეფე აი მათი პოლიტიკის მთავარი აზრი. მათ ჩვენში შემოსვლისას განაცხადეს, რომ ისინი არ ჩაერევიან ჩვენს შინაურ საქმეებში. მაგრამ განაარ ერევიან? —დიახ, ერევიან, ამის დამადასტურებელი ფაქტები ჩვენ გვაქვს. შემდეგ ორატორი ახასიათებს ინგლისის გენერალების პოლიტიკას ამიერ-კავკასიაში და კერძოთ ბათუმში და ამბობს, რომ ამ გენერლების პოლიტიკა არ შეესაბამება ინგლისის სწორად გაგებულ ინტერესებს. მაგ. გენერალი კუკოლისი ბათუმში აწყარმოებს ინტრიგებს და მის გუბერნატორობის დროს ბათუმი გადაქცეულია საერთოშორისო სპეკულიაციის ასპარეზად. ბათუმი გადააქციეს ერთნაირ საჭანელად, მოიყვანენ ჯარებს შემდეგ წაიყვანენ და ასე გრძელდება ქანაობა. ასეთი ქანაობა დაუშვებელია. ბათუმის საკითხი უნდა გადაწყდეს ერთხელ და სამუდამოთ და ის უნდა გადაწყდეს საქართველოს სასარგებლოთ. აი ახლა არის სწორედ შესაფერი მომენტი დამდგარი და ეს მომენტი არ უნდა გაუშვას მთავრობამ ხელიდან. თუ ამ მომენტით მთავრობამ არ ისარგებლა და ბათუმი დაჰკარგა, ამას ხალხი მთავრობას ვერას გზით ვერ აპატიებს. საჭიროა ბათუმის შემოსაერთებლათ დღესვე დაუყონებლივ ზომების მიღება.

**თავმჯდომარის განცხადება.**

თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღეს ისტორიული დღეა. ისტორიული დღე არა მარტო დედა-ქალაქ ტფილისში, არამედ შეიძლება ითქვას მთელს საქართველოში. თქვენ ალბათ გესმისთ გუგუნი ხალხისა, რომელიც მოზღვავებულა სასახლის წინ და გამოუგზავნია დელეგაცია, რომელმაც მე გამიწვია და გადმომცა შემდეგი რეზოლიუცია:

**მიტინგის რეზოლიუცია.**

„მუშათა და მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, თავმოყრილი ბათუმის ოლქში შექმნილი მდგომარეობის გამოსარკვევათ, ერთხმად აღიარებს, რომ 1918 წ. 1 აპრილს ოსმალეთის ჯარმა აიღო ქ. ბათუმი საქართველოს მხედრობასთან ბრძოლის შემდეგ და მით ხელთ იგდო ბათუმის ოლქი, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ბრესტის ზავის თანახმად ოსმალეთის იმპერიას გადასცა.

საქართველოს ხალხი მას შემდეგ, რაც ოსმალეთი მსოფლიო ომში დამარცხდა, მუდამდღე ელოდა ბათუმის ოლქის შემოერთებას, რომელიც ეთნოგრაფიულად, კულტურულად და ისტორიულად უხსოვარ დროიდან საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ბათუმის ოლქის მცხოვრებლებმა თავიხ

არჩეულ წარმომადგენელთა პირით, რომელთაც შექმნეს მეჯლისი, საყოველთაოდ აღიარეს, რომ სამაჰმადიანო საქართველოს შეურყეველი სურვილია დედა-საქართველოსთან ავტონომიურ საფუძველზე გაერთიანება.

ქ. ბათუმის მცხოვრებლებმა საქალაქო არჩევნებში 23 თებერვალს 1920 წ., თუმცა ის სწარმოებდა ქართველთათვის მეტად არახელსაყრელ პირობებში, მკაფიოთ და გადაჭრით გამოთქვეს თავისი აზრი, რომ ბათუმი საქართველოა, ის ასეთი იყო ძველი რეჟიმის დროსაც, და მოითხოვეს ბათუმის საქართველოს რესპუბლიკისათვის გადაცემა.

მიუხედავათ ხალხის ნება-სურვილისა, რომელიც ეყრდნობა რევოლიუციისა და თავისუფლების დიდ პრინციპს—ერთა თვითგამორკვევის უფლებას—ბათუმის საოკუპაციო მთავრობა განაგრძობს ძველ გზას—ქართველთა დევნას და მათი ინტერესების უდიერად ფეხქვეშ გათელვას და ამ მიზნით ისწინეთ ეყრდნობოდა გენ. დენიკინის მომხრეებს, ამ ჟამად კი პანთურქისტებისა და ანარქისტულ-ბოლშევიკური ელემენტების ბლოკს.

ქ. ბათუმისაგან კარიკატურული სახელმწიფოსი შექმნა მოასწავებს საქართველოს დემოკრატიის ინტერესების ფეხქვეშ გათელვას და რესპულიკის ეკონომიურ-პოლიტიკური განვითარებისათვის კარების დახშობას. ეს ბათუმის ოლქის მცხოვრებთა სპეკულიანტთა ხელში გადაცემა იქნება, რომლებიც ეხლა იქ დათარეშობენ და ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ყვლეფენ.

ბათუმი უსაქართველოდ მკვდარია, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა უბათუმოდ ყოვლად შეუძლებელია.

იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, მიტინგი კატეგორიულად მოითხოვს დამფუძნებელი კრებისაგან და მთავრობისაგან გაბედულ ნაბიჯებს ბათუმისა და ოლქის შემოსაერთებლად, ხოლო დიდს სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან დაჩქარებით საქართველოს ინტერესების დაკმაყოფილებას.

მხოლოდ ამ გზით შეძლებელია მეგობრული ერთ-ურთობის დამყარება საქართველოსი დიდ მოკავშირე სახელმწიფოებთან. (მხურვალე ტაში). თავმჯდომარე დასძენს, რომ ხალხი მოუთმენლად მოელის უზენაესი ორგანო დამფუძნებელი კრების იმ საკითხზე გადაწყვეტილებას, მე გადავეცი, რომ ეს გადაწყვეტილება მათ ეცნობებათ ორი-სამი დღის შემდეგ.

შემდეგ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ბათუმის მდგომარეობის შესახებ გარეშე საქ. მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი, რომლის სიტყვას რეზოლიუციასთან ერთად შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

## ბათუმი და 20 მარტი

ბათუმის საკითხმა მთელი საქართველო ფეხზე დააყენა, საქართველოს დემოკრატიამ ერთხელ კიდევ დაანახვა მტერ-მოყვარეს, რომ მას სხვისი არაფერი სურს, მაგრამ არც თავის საკუთრებას დაუთმობს სხვას უსისხლოდ. საქართველოს მუშათა კლას არა ერთხელ გამოუჩენია თავისი ძალის სიმტკიცე, ერთსულოვნება, რევოლიუციონური დისციპლინა, მაგრამ 19 მარტის მუშათა დემონსტრაციას, მაინც თავისებური არ ჩვეულებრივი ელფერი ედო; ამის დამამტკიცებელია ის ზღვა აუარებელი ხალხი, რომელიც სასახლეს სხვა და სხვა დროშებით მოადგა, და ის ენტუზიაზმი, რომლითაც გაჟღენთილი იყო 19 მარტს თვითეული მოქალაქე. ეს ადვილი ასახსნელიც არის: ბათუმის საკითხის საბოლოოდ გადაწყვრით, წყდება არა მარტო ქალაქ ბათუმის ბედი, არამედ საქართველოს განთავისუფლებულ დემოკრატიის ბედიც. ბათუმის საკითხთან ერთად უნდა გადაწყდეს საქართველოს ბედი, არა მარტო ეკონომიურად არამედ პოლიტიკურადაც კი. ბათუმი ეს ისეთი ორგანოა ჩვენი სხეულისა, რომლის ჩამოჭრა მას სიკვდილს უქადის, განადგურებას ყოველივე მას, რაც საქართველოს დემოკრატიამ სისხლით, ვაი-ვაგლახით მოიპოვა. ეს ყოველივე კარგად აქვს შეგნებული საქართველოს მუშათა კლას, და მიტომ იყო, რომ მან ამ დღეს, 19 მარტს, მუშაობა მიატოვა და ქუჩებზე პროტესტით გამოვიდა. 19 მარტი, ბევრ რამეს ეუბნება, დღეს გაბატონებულ სახელმწიფოებს, რომლებიც ხშირად ერთი კალმის მოსმით წყვეტენ პატარა ერის ბედს...

19 მარტს, დედა ქალაქის ფეხზე დადგომამ უნდა მიიპყროს მათი ყურადღება, ისინი უნდა დარწმუნდნენ, რომ ბათუმის საკითხი ეს ივივეა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, უერთმანეთოთ ამ საკითხებს კეთილად გადაჭრა შეუძლებელია და ჩვენ ღრმად გვრწამს, ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს დემოკრატიის 19 მარტის კიჟინა, მის გულის სიღრმიდან ამონახეთქი სევდიანი პროტესტი მიაღწევს მიზანს,—საქართველოს ბათუმს ვერ ჩამოგლეჯენ.

იშვიათად ახსოვს ტფილისის ქუჩებს ასეთი დემონსტრაცია. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხი განურჩევლად მიმართულებისა გააერთიანა ბათომის საკითხმა და ერთი ლოზუნგი დაუსახა: „ბათომი, ბათომი უნდა დაგვიბრუნდესო“.

19 მარტის დემონსტრაციის შესახებ ცნობა გაზეთებში ჯერ კიდევ წინა დღით იყო.

ქუჩებში გამოსვლა დაიწყო 12 საათის შესრულების შემდეგ.

ტფილისის ფართე ქუჩებიდან გამოეფინა ხალხი მუშათა სასახლისაკენ. რევოლიუციონურ დროშებს გარდა ყველა ორგანიზაციების მუშებს თუ დაწესებულებათა მოსამსახურეებს გაკეთებული ჰქონდათ საგანგებო „პლაკატები“ ქართულსა, რუსულსა და სხვა უცხო ენებზე, რომელზედაც ამოიკითხავდით: „ბათომი საქართველოა“, „ეხლავე ბათომისაკენ“, „სიკვდილი მტრებს“ და ათასი სხვა. სოც. ფედერალისტებს შავი დროშაც კი გამოეტანათ გლოვის ნიშნათ.

მუშათა სასახლესთან საქართველოს მუშათა პროფ. კავშირის თავმჯდომარემ მიტინგი გახსნა და მოუწოდა ხალხს ამოერჩიათ საგანგებო დელეგაცია, რომელიც წავიდოდა დამფუძნებელ კრების სხდომაზე და გადასცემდა მთავრობას და კრების პრეზიდიუმს ხალხის სურვილს ბათომის შესახებ.

აქედან ხალხი გაემართა სასახლისაკენ. გაიმართა მიტინგი. ორატორებს ხალხი სიტყვას აწყვეტინებდა მღელვარების გამო. გაისმოდა ხმები: „პასუხი, პასუხი მთავრობის მიერ“. გამოვიდა იუსტიციის მინისტრი არსენიძე და მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მთავრობა ხალხთანაა, ის მუშაობდა და იმუშავებს ბათომის საქართველოსთვის დასაბრუნებლად, მან აცნობა ხალხს აგრეთვე, რომ ბათომის ოლქის მნიშვნელოვანი საზღვრები დაჭერილი აქვს ჩვენს ჯარს, სადაც აჭარლები პურმარილით ხვდება მას. მინისტრმა სიტყვა შემდეგნაირათ დაასრულა: ჩვენ თქვენ მიერ არჩეული მთავრობა ვიბრძოლებთ ბათომისათვის, ბათომი ჩვენი იქნება და თუ ბათომი არ იქნა არც ჩვენ ვიქნებით“.

ორატორთა სიტყვებს დასასრული არ ჰქონდა, მიტინგი გადაიქცა მღელვარე ზღვათ, ხალხს მოთმინება არ ყოფნიდა, გაისმოდა ხმები: „ეხლავე წავიდეთ, ეხლავე ბრძოლა მტერსო“. დამფუძნებელი კრება გრძელდებოდა, ხანგამოშვებით გამოდიოდენ დეპუტატები და ხალხს ამშვიდებდნენ.

ოსიკო ბარათაშვილის ცეცხლიანმა სიტყვამ დიდი გავლენა იქონია. ილაპარაკა: ივ. გომართელმა, გრ. გიორგაძემ, ს. დადიანმა, მღვდელმა ნიკიტა თალაკვაძემ, ი. იმედაშვილმა, მუშების წარმომადგენელმა და მრავალმა სხვამ.

მიტინგის მიერ არჩეული დელეგაცია, რომელიც დამფ. კრებაში იყო წარგზავნილი გამოვიდა და ხალხს განუცხადა, რომ მათ ინახულეს დამფ. კრების პრეზიდიუმი. მიღებული იქნება ყოველივე ზომები ხალხის ნების აღსასრულებლათ. ეხლავე ინახულებს დელეგაცია უცხო სახელმწიფოთა მისიებს და გადასცემს თქვენს მოთხოვნას, შემდეგ მიღებულ იქნება გადაჭრილი ნაბიჯებიო. ამის შემდეგ ხალხს მოუწოდეს მშვიდობიანათ დაშლილიყვენ.

მიტინგი ნაშუადღევის სამ საათზე დაიშალა. ყველა ქუჩებზე სამაგალითო წეს-რიგი იყო.

### პროვინციების გამოხმაურება.

არა მარტო დედა-ქალაქი, არამედ მთელი რესპუბლიკის სოფელ-დაბა-ქალაქები ფეხზე იდგა 19—მარტს, ყველგან ერთსა და იმავეს გაიძახოდენ: „ბათომი ჩვენია, მას ვერავის დავანებებთ“. ჩვენმა რედაქციამ, მთავრობამ, და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა, აუარებელი დეპეშა მიიღო პროვინციებიდან ვბეჭდავთ მხოლოდ ზოგიერთ მათთაგანს.

### ქუთაისიდან.

ქუთაისის ქალაქის საბჭო უმაღლეს საბჭოს მიერ ბათომის თავისუფალ ქალაქად განცხადებაში ქართველი ერის ისტორიული, ეტნოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების ფეხქვეშ გათელვას ჰხედავს საბჭო. მთელი მოქალაქეების სახელით მომხდარ სამწუხარო ამბის გამო პროტესტს აცხადებს და ენერგიულად მოითხოვს მომხდარი უსამართლობის გამოსწორებას და ბათომის საქართველოსათვის დაბრუნებას.

იქოდეს მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ, დაფუძნებელმა კრებამ და ჩვენმა მთავრობამ, რომ უბათუმოთ ცხოვრება ქართველ ერს არ შეუძლია. აღიმაღლეთ ხმა ფეხქვეშ გათელილი ერის უფლებების დასაცველად ამ ბრძოლაში თქვენთან ვიქნებით.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე
**სამხონ კილაძე.**

### ოზურგეთიდან.

მრავალ რიცხოვანი მიტინგი ქალაქ ოზურგეთისა და მთელი რაიონისა გამოსთქვამს უღრმეს აღშფოთებას ბათუმის დედა საქართველოზე ჩამოგლეჯის გამო. მათ ერთი წუთითაც არ შეუძლიან დაუშვან ბათუმის ჩამოშორება საქართველოზე და მოითხოვს ქართველი ერის ნებისყოფის გამომხატველ დამფუძნებელ კრებისგან, რათა დაუყონებლივ იქნას გადაჭრილი ზომები ბათუმის საქართველოზე შემოერთების საკითხში.

მიტინგის თავმჯდომარე **ქარცივაძე.**

### ბათომიდან.

ტფილისი, დიდ ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს მისტერ ოლივერ უორდროპს. ასლები საფრანგეთის და იტალიის მისიების თავმჯდომარეს აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას და დამფუძნებელ კრებას.

ბათუმის ოლქის შეერთებულ მუსულმანთა საბჭოს სახელით ვაცნობებ თქვენს აღმატებულებას, რომ თუ დღემდის ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით დედა საქართველოსთან შეერთებისა ეს იყო შეუთანხმებლობა ზოგიერთი საკითხებში საქართველოს მთავრობასთან. ჩვენ შორის მოხდა სრული შეთანხმება და მოვითხოვთ, რომ დაუყონებლივ შეუერთდეს ჩვენი კუთხე დედა საქართველოს, როგორც ქალაქი ბათუმი, აგრეთვე მთელი ოლქი ავტონომიურად, როგორც განუყოფელი ნაწილი საქართველოსი. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება და მით ასცდება სისხლის ღვრა, რომელსაც აწყობენ საქართველოს მტრები. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ აშკარად ადერბეიჯანის აგენტები აძლევენ ყაჩაღებს ფულს, რათა თავდასხმა მოაწყონ ქართველ ჯარზე. საქართველოს ჯარის ელის აღფრთოვანებით და სიყვარულით ჩვენი ხალხი, რათა დაიცვან ძველი საქართველო.

შეერთებულ მუსულმანების საბჭოს თავმჯდომარე **ალი ჯაფარიძე.**

### ახალქალაქიდან.

ახალქალაქის მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა იქონია რა მსჯელობა ბათუმის პორტოფრანკოს გამოცხადებაზე და გაითვალისწინა რა დღევანდელი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა დაასკვნა შემდეგი: ბათუმის საქართველოდან ჩამოშორება ნიშნავს რესპუბლიკის არსებობის უარისყოფას. ყრილობა აღიარებს ბათუმს ამღორძინებელ ცენტრად, საქართველოს განუყრელ ნაწილად სთხოვს დამფუძნებელ კრებას მიიღოს ყოველივე ზომები ბათუმის შემოსაერთებლად. ყრილობა ფიცსა სდებს ხალხისა და მთავრობის წინაშე, თუ კი ეს საკითხი მოითხოვს მსხვერპლს, მზათ არის ფეხზე დასდგეს იარაღით ხელში დ დაიცავს უკანასკნელი სისხლის წვეთამდის თავის სამშობლოს განუყოფელ ნაწილს. ყრილობა სთხოვს დამფუძნებელ კრებას რეზოლიუციის შინაარსი აცნობოს ყველა უცხოეთის მისიებს საქართველოში.

მიტინგის თავმჯდომარე **სანდრო ოქრუაძე.**

—

ასეთივე შინაარსის დეპეშები მიიღო დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა: სურამიდან, ხაშურიდან, სოხუმიდან, ფოთიდან, გურჯაანიდან, სიღნაღიდან, ბორჯომიდან, სუფსიდან და სხვა დაბა-სოფლებიდან.

### ახალციხიდან.

მიუხედავად იწვლისელ აფიცრების ინტრიგებისა, რომ აეჯანყებიათ ზემო-აჭარის მცხოვრებლები ჩვენი ჯარის წინააღმდეგ, მიუხედავად სანგრების გაკეთებისა. ხულოს გარშემო და სხვა დემონსტრაციებისა, საქართველოს ჯარის შესვლას ხულოში მცხოვრებლები პურ-მარილით შეეგება, რასაც ალტაცებით გილოცავთ:

ჩვენ დარწმუნებული ვართ არავითარი ინტრიგები არ შეარყევენ აჭარის ხალხის სიხარულს, მშობლიურ საქართველოსთან შეერთებით გამოწვევას

**ჯემალ-ფაშა ხიმშიევი.**

### მასწავლებელ-მოწაფეთა ხმა

19 მარტს, დღის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში ვაიმართა ტრიალისში არსებულ ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელ და უფროს კლასების მოწაფეთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი.

მიტინგი გახსნა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს თავმჯდომარემ ვარ. ბურჯანაძემ მოკლე სიტყვით.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ალ. წერეთელმა, გიორგი გიორგობიანმა, აკაკი ფალავამ, ჭოლაშვილმა, მოწაფე კანდელაკმა და სხვებმა.

სიტყვების დასრულების შემდეგ მიტინგმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბიუროს მიერ მოწვეულმა ტფილისში არსებულ ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელ და უფროს კლასების მოწაფეთა მრავალ რიცხოვანმა ყრილობამ, შემდგარმა მიმდინარე წლის 19 მარტს, მოისმინა მოხსენებები ქალ. ბათუმის და ბათუმის ოლქის ანტანტის მიერ ცალკე სახელმწიფოთ გამოცხადების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ ბათომის ოლქი, ქალაქი ბათომით საქართველოსაგან გამოყოფა ცალკე სახელმწიფოთ არღვევს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და ძირითადად ეწინააღმდეგება თვით ადგილობრივ მცხოვრებთა, საქართველოს ღვიძლ მოძმე აჭარელთა სამართლიან მოთხოვნილებას, რომ ბათომის და ბათომის ჩამოშორება ლახვარს სცემს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს და ეკონომიურად გაწადგურებას უქადის,—აცხადებს უღრმესს პროტესტს ანტანტის მიერ ჩადენილ ძალადობის გამო და მოითხოვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისაგან მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა ბათომის ოლქი თავის ქ. ბათომით კვლავ შემოუერთდეს საქართველოს, როგორც მისგან განუყოფელი ნაწილი.

სამხედრო ტაძრის გალავნიდან სამხედრო მუსიკით მიტინგი გაემართა ერმოლოვის ქუჩით პეტრე დიდის, სერგიას, გზა-გზა ჩერდებოდა უცხო სახელმწიფოთა მისიათა ბინების წინა და ეროვნულ ჰიმნს ასრულებდა.

მიტინგი დაიშალა 3 საათზე.

## მთავრობაში

### 16 მარტის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, მინისტრები ბ. ბ. რამიშვილი, ხომერიკი, ლორთქიფანიძე, ერაძე, გეგეჭკორი, სახელმწიფო კონტროლიორი ბ. გოგიჩაიშვილი, მინისტრის ამხანაგები: ბ. ბ. ჭარცივაძე, ცინცაძე, ბახტაძე, ნ. ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ჭავჭანიძე, ავალიანი, დეპარტამენტ. დირექტ. ალშიბაია, გ. ჟორდანია, მდივანი დ. ლომთაძე.

### მიწათ-მოქმედების სამინისტროსათვის 48.330 მან. კრედიტის გახსნა.

გადაიდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში 48.330 მან. ათ-მილიონიან ფონდიდან აღნიშნულ სამინისტროს მთავრობის სახლში გადასვლით გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად.

### სახელმწიფო მამულებში ნათესის გახაფართოებლად კრედიტის გახსნა.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება სახელმწიფო მამულებსა და დაწესებულებებში ნათესის გასაფართოებლად 8.158,025 მან. გადადების შესახებ მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

### უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევა.

ლანჩხუთის ქალაქის საბჭოს 1919 წლ. დეკემბრის 2-ის დადგენილება ქალაქის სასარგებლოდ მიხეილ დიანოსის ძე სვანიშვილის უძრავი ქონების იძულებით ჩამოთმევის შესახებ დამტკიცებულ იქმნას.

ჭიათურის ქალაქის საბჭოს 1919 წლ. 5 ენკენისთვის დადგენილება ქალაქის საჭიროებისათვის გიორგი გაბრიელის ძე ჩომახიძის, ვანო მოდებაძისა და სიმონ და ალექსანდრე ჭანტურიძეებისაგან უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთმევის შესახებ დამტკიცებულ იქნას.

## შინაგან საქმ. სამინისტროში

### სილნაღის სამაზრო ერობის გამგეობის ცნობა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო სილნაღის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარისგან, რომ სოფელ ელდარის მცხოვრებთა მიერ გადენილ იქნა ორმოცდა რვა ცხენი კუთვნილი მოქალაქე ცისკაროვისა. ვინაიდან აღნიშნული სოფელი არ შედის საქართველოს ფარგლებში, გამგეობა თხოულობს სამინისტროს წინაშე ზომების

მიღებას, რათა დაცულ იქნას მოჭალაქე ცისკაროვის ინტერესები.

**ერობათა კავშირის ტელეფონის ქსელი.**

ერობათა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის და მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რათა ტელეფონის ქსელი მაზრებში დარჩეს ერობის განკარგულებაში და გამგებლობაში, ვინაიდან მაზრის ტელეფონის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის ხელში გადასვლით ერობებს ესპობათ საშუალება ისარგებლონ ამ ქსელით უსასყიდლოთ და ამით კი—თვალყური ადევნონ მაზრის ცხოვრებას და შეასრულონ დაკისრებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მუშაობა.

ერობათა კავშირის მთავარი კომიტეტი თავის მოხსენებაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერობათა შრომით, და მეცადინეობით იქნა შეერთებული მაზრები ტელეფონის ქსელით.

**მთავრობის სტამბის გამგის შუამდგომლობა.**

მთავრობის სტამბის გამგემ, გამოუგზავნა რა შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას სია, ვალების თანხათა აღნუსხვით იმ დაწესებულებათა, რომელნიც მოვალენი არიან გადაუხადონ სტამბას სხვა და სხვა თანხები მათის შენაკვეთის შესრულებისათვის, შუამდგომლობა აღძრა სამინისტროს წინაშე—გაცემულ იქნას შესაფერი განკარგულება, რათა ამ დაწესებულებებმა დროზე გადაიხადონ მათი ვალები.

**სალომოს ბილეთების განთავისუფლება სახელმწიფო გადასახადისაგან.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა დააკმაყოფილა შუამდგომლობა თამარ მეფის სახელობის ქალთა საოსტატო სემინარიის გამგისა ბილეთების სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. სალომო გაიმართება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

**ნებართვა.**

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის მიერ ნება დაერთო მოქალაქე ლ. ვ. პუტილოვს და ამაციევს საქართველოს საზღვრებში თავისუფალი შემოსვლა-გასვლისა და თავისუფალ ცხოვრებისა.

**ლტოლვილები.**

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული მზრუნველობის განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ ახალციხეს ყარსის ოლქიდან მოაწყდა ლტოლვილები, რომელნიც აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. ადგილობრივი ერობის გამგეობის მიერ მიღებულია ზომები მათთვის ბინების და საჭმელ-სასმელის მოსაგვარებლად. თავის მხრივ მზრუნველობის განყოფილებამაც მიიღო საჭირო ზომები აღნიშნული ლტოლვილების დახმარების აღმოსაჩენათ.

**ადერბეიჯანის წარმომადგენლის შუამდგომლობა.**

ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ აღძრულ იქმნა შესაფერი შუამდგომლობა, რათა ადერბეიჯანის სახალხო ჯანმრთელობის სამინისტროს გადაეცეს ყველა საქმეები და დოკუმენტები, რომელიც ეხება ბაქოს, განჯის და ზაქათალის გუბერნიების საეჭიმო ნაწილს.

ადერბეიჯანის სახალხო ჯანმრთელობის სამინისტროს ცნობით, აღნიშნული საქმეები ამ ჟამად ინახებიან ყოფილ ამიერ კავკასიის სამოქალაქო უწყების სამმართველოს საეჭიმო ნაწილში და გადასახლების მმართველობაში.

## მდგომარეობა გერმანიაში

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

პარიზში, საზავო კონფერენციასთან მყოფმა გერმანიის დელეგაციამ ოფიციალურად განაცხადა: კაპმა ლიუტვიცთან ერთად ბერლინი დასტოვა. საქმის ხელმძღვანელობა მიენდო შიფერს, რომელიც ებერტ ბაუერის ვიცეკანცლერად ითვლება. ამგვარათ კანონიერი მთავრობა კიდევ დამყარდა ბერლინში. უარყოფენ ხმებს, თითქოს ბერლინში საბჭოთა რესპუბლიკა დაეარსებიოთ. გერმანიის ოფიციალური ცნობით საერთო ზავის ინტერესების სასარგებლოდ კაპი და ლიუტვიცი გადადგენო. ხმებია, თითქოს ლიუტვიცმა თავი მოიკლაო. მღელვარება ბერლინსა და გერმანიაში თითქოს სწყდება. ფრანგული პრესა ფიქრობს, რომ ებერტი გაუჭირვებლად შეიქნება მდგომარეობის ბატონ-პატრონი. ხუთშაბათს შტუტგარდში შესდგა ეროვნული კრება, დაესწრო ორას სამოცდა ათი დეპუტატი. თავმჯდომარე ფერენბახმა სასტიკათ გაკიცხა ბერლინში მომხდარი სახელმწიფოს გადატრიალება. შემდეგ სიტყვა აიღო კანცლერმა ბაუერმა და უკანასკნელ მოვლენათა დაწვრილებითი სურათი დახატა. მან მადლობით მოიხსენია გერმანიის მოხელების ერთგულება დემოკრატიისადმი. დაბოლოს, მან განაცხადა: მიღებული იქნება ზომები შეთქმულთა დასასჯელად და გაწმენდილი იქნება სახელმწიფოს ჯარი. სხდომის შემდეგ მთავრობა გაემგზავრა ბერლინს. ეროვნულ კრების სხდომა დანიშნულია ბერლინში ორშაბათისათვის.

ეროვნული თავდაცვის საბჭო პარასკევს დილით ელისეს სასახლეში შეიკრიბა პოლ დეშანელის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო მინისტრის საბჭოს დავმჯდომარე მილიერანი და მარშალი ფოში.

სამხედრო სახელმწიფო გადატრიალება გერმანიაში სრულიად დამარცხდა. კაპპი და ლიუტვიცი გაიქცა. მაკენზენის მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი ფონ-ზეეკტი, ბერლინის სამხედრო-გუბერნატორად დაინიშნა. დემოკრატიული პარტიის მანიფესტი იუწყება, რომ ებერტის ეხლანდელი მთავრობა თანახმაა შეადგინოს ახალი სამინისტრო, დანიშნოს რეიხსტაგში არჩევნები და სახელმწიფოს პრეზიდენტის სახალხო არჩევნები. აი სამი რეფორმა, რომელსაც რეაქცია მოითხოვს.

ებერტის და ბაუერის მთავრობა ბერლინში ბრუნდება. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა ლიუტვიცის დასაპატიმრებლად. ხუთშაბათს 4 საათზე დაიწყო ბერლინის დატოვება აჯანყებულ საზღვაო ბრიგადის მიერ. მათ დროშებით და მუსიკით გაიარეს აჯანყებულ ხალხის წინ, რომელიც ლიუტვიცს აგინებდა. როდესაც პირველი კორპუსი ბრანდენბურგის მიმართულებით გამოვიდა, არერგარდი მობრუნდა და ხალხს სროლა დაუწყო „პარიზერპლატცზე“ და „უნტეოდენლინდენზე“. მერე კორპუსი „პარიზეპლატცზე“ ხალხს ჯავშნიანი ავტომობილიდან ესროდა. მრავალია მოკლული და დაჭრილი.

ჟურნალი „დე-დება“ გერმანიის მდგომარეობის შესახებ დეპეშების შინაარსის მიხედვით შემდეგ ცნობებს იძლევა: მდგომარეობა თანდათან ირკვევა. ფიქრობენ, რომ მომავალ კვირაში ბერლინში ეროვნული ყრილობა ისევ მოწესრიგდება. მთავრობაც უთუოდ იქ იქნება. მოელიან კაბინეტში ზოგიერთ ცვლილებას. შესაძლებელია, რომ კანცლერს დაევალოს ახალი მთავრობის შედგენა. რაც შეეხება უკიდურესთა მოძრაობას ამ ჟამამდე ის მეტად გაძლიერებულა. ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ არ გამორკვეულა. საბოლოო აზრის გამოთქმა ძნელია, მაგრამ შესაძლებელია მთავრობამ ამათზედაც გაიმარჯვოს.

## გათოშის პირველათ პორტო-ფრანკოთ გამოცხადება

გათოშის მეორე პორტო-ფრანკოთ დანიშვნას საისტორიო ხასიათი აქვს. მეტი არ იქნება, რომ ამის შესახებ თუნდ სულ მოკლეთ მოვიყვანოთ ცნობები. ბევრი სისხლის ღვრის შემდეგ, 1878 წ. რუსეთის და ოსმალეთის ომი დამთავრდა, ბათომი ოსმალებს შერჩათ და არზრუმი რუსებმა აიღეს. ბათომისთვის დიდი ძალი ჯარი გაწყდა და მათში ქართველების რიცხვიც ერთობ დიდი იყო, რადგანაც ყველა ქართველს გაღვიძებული ჰქონდა სამუსლიმანო საქართველოს შემოერთების ტრფიალება.

მაგრამ არ იქმნა რუსთა და ქართველთ არა ეშველათ რა ჭაჯეთის ციხეს, ანუ ციხის ძირს ვერაფერი დააკლეს, ვერ ავნეს, ტყუილათ ხომ არ ჰქვიან ციხის ძირს „ჭაჯეთის ციხე“. ციხის ძირი „ვეფხვის ტყაოსანი“ ჭაჯეთის ციხეა და აჭარლებიც არიან იმავ „ვეფხვის ტყაოსნის“ ქაჯნი.

ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ ოსმალოს და რუსეთს შორის მოლაპარაკება გაიმართა. პირობა ასეთი შეკრეს, ოსმალეთს რუსეთისთვის უნდა დაეთმო ბათომი და ამის მაგიერ რუსეთს ოსმალთათვის არზრუმი უნდა დაებრუნებინათ. ამაზედ დიდი ლაპარაკი მოხდა და ამ დროს, ქართველ მაჰმადიანებმაც წამოყვეს თავი, ამათ განუცხადეს ოსმალებს და ევროპიელებს შემდეგი:

ჩვენ არც ოსმალები ვართ, არც რუსები, ჩვენ გურჯები-ქართველები ვართ და ჩვენი ქვეყანაც გურჯისტანი - საქართველოა. ოსმალებს ჩვენ არც უყიდივართ და არც ვისმეს გაუცვლივართ მათთვის, ამიტომ ვითხოვთ, რომ ოსმალეთი ჩვენ ნურც გვცვლის და ნურც გვექადის. თუ ეს განზრახვა არ ჩაიშალა, სულ ერთია ჩვენ რუსებს არ ჩავბარდებით. ოსმალეთმა დაგვანებოს თავი და ჩვენ ქვეყანას ჩვენ მოუვლით, ჩვენ განვაგებთ, თუ არა და სისხლს დავღვრით და აქ სხვებს არ შემოუშვებთო.

ქართველ მაჰმადიანთ ასეთ პროტესტმა დიდი აყალ-მაყალი გამოიწვია. ბოლოს ამის გამო მოხდა ევროპიელთა სახელმწიფო კაცთა ბერლინის კონგრესი. ამ კონგრესმა დაადგინა, რომ ბათომი უნდა რუსეთს გადაეცეს, ხოლო იგი იქნება დანიშნული პორტო-ფრანკოთ. ამ გარემოებამ ქართველი მაჰმადიანები საკმარისათ დაამშვიდა და მათი პროტესტიც მორჩა.

ბათომი ჩაბარდა რუსეთს და დანიშნულ იქმნა პორტო-ფრანკოთ. ამის მეოხებით ბათომში და ზღვაზედ მალე მოისპო ყაჩაღების თარეშობა და ამის წყალობით ბათომიც გაცოცხლდა დიდათ, რადგანაც ევროპიდან მრავლათ იწყეს შემოტანა სხვა და სხვა ევროპიულის საქონლისა. მოკლე დროის განმავლობაში ბათომი გაცოცხლდა, გაშენდა, ევროპიელის საქონლით გაივსო მაღაზიები და ვაჭრობაც გაჩაღდა.

ბათომში შემოტანილ საქონელს ბაჟი არ ედო, ამიტომ ყველა ნაირი საქონელი სრულიაფი იყო, ქალაქ გარეთ გატანა საქონლის კი უბაჟოთ არავის შეეძლო. თუ ბათომიდან უცხო ქვეყნებში წაიღებდენ საქონელს, არც იმას ედო ბაჟი. ამ გვარათ, ბათომი მოკლე დროის განმავლობაში ისე გაჩაღდა, ისე გაფართოვდა, რომ იგი ევროპიელ ქალაქს დაემსგავსა.

ასეთი გარემოება მოსკოვის პატრიოტებმა ველარ აიტანეს და კატკოვმა, სუვორინმა და ამათ ამხანაგებმა მოსკოვის და პეტერბურგის გაზეთებში ასე დაიწყეს მსჯელობა და წერა ბათომის შესახებ:

ბათომის აღებაზე ჩვენ სისხლი დავღვარეთ, თითქოს მარტო რუსებმა დაღვარეს და ქართველები კი რძესა და წყალს ღვრიდნენ, მერე, ჩვენ ჩვენი სისხლის სანაცვლოთ რა ვიპოვნეთ, არასფერი, ვითომ ბათომი ჩვენ მოგვცეს, არა, ჩვენ ბერლინის კონგრესზედ მოგვატყუილეს, მართალია, სიტყვით ბათომი ჩვენ მოგვცეს, მაგრამ საქმით კი იგი ევროპიელებისა აღმოჩნდა ახლა.

და ორი წლის შემდეგ, რუსეთმა დაარღვია ბერლინის კონგრესის მუხლები და ბათომში პორტო-ფრანკო მოსპო. ამაზედ მთელს ევროპიელთა გაზეთებში დიდი განგაში ასტეხეს.

ზ. ჭ.

## წესდება

**საქართველოს ცენტრ. სავაჭრო-სამრეწ. ბანკისა.**

**(ცენტრობანკი).**

§ 51.

საბჭოსა და გამგეობის შეერთებულ კრებულს ნება აქვს დააწესოს ბანკში განაღდების კომიტეტი და ამ კომიტეტში აირჩიოს ისეთი, რომელთაც იცნობს იგი კრებული. განაღდების კომიტეტს ევალება, ხოლო თუ კომიტეტი არ არის, გამგეობას ევალება (მუხ. თ. § 39) გადასწყიტოს რაოდენობა კრედიტისა ბანკის კლიენტებისათვის, რაოდენობა სესხისა, რომელიც ბანკმა უნდა გასცეს საქონლისა, პაებისა, ობლიგაციებისა და სარგებლიან ქაღალდების გირაოდ და შესაწყნარებელია თუ არა გასანაღდებლად წარმოდგენილი ვექსილები.

§ 52.

გამგეობისა და საბჭოს წევრები და აგრეთვე სხვა ყველა ბანკის მოხელე მოვალენი არიან დაიცვან საიდუმლოება ყველაფერში, რაც შეეხება ბანკისადმი რწმუნებულ კერძო საქმეებსა და ანგარიშებს.

§ 53.

საბჭოს და გამგეობის წევრები ექვემდებარებიან პასუხის გებას როგორც პირადათ, ისე ქონებით ყოველი იმ ზარალისთვის, რომელიც ბანკს მოუვა წესდებისა და საზოგადო კრების დადგენილებათა დარღვევით.

§ 54.

ბანკს აქვს ბეჭედი ზედ წარწერით: „საქართველოს ცენტრალური სავაჭრო სამრეწველო ბანკი“.

**IV აქციონერთა საზოგადო კრება.**

§ 55.

ყველას, ვისაც კი შეძენილი აქვს ბანკის აქცია, ნება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას, მაგრამ უფლება ხმისა აქვს მხოლოდ იმ აქციონერს, რომელსაც ეკუთვნის არა ნაკლებ ოცი აქციისა. თითოეული ოცი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას, მაგრამ საზოგადო კრებაზე არც ერთ მათგანს არ შეუძლია იმდენი ხმა იქონიოს, რომ რაოდენობით $^1/_{10}$ სჭარბობდეს სხვა დამსწრე ხმებისას.

§ 56.

მთავრობისა, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანი, საზოგადოება და ამხანაგობა საერთო კრებაზე სარგებლობენ ხმის უფლებით თავიანთ კანონიერ წარმომადგენლების სახითა.

ბანკის მოხელეთ ნება არ აქვთ საზოგადო კრებაზე მონაწილეობა მიიღონ ვექილობითა.

§ 57.

სახელობითი აქციების პატრონთ ხმის უფლება აქვთ საზოგადო კრებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის დავთრებში ჩაწერილი არიან შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მათთვის საჭირო არ არის წარდგენა თავიანთი სახელობითი აქციებისა.

უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმას პატრონს, თუ იგი აქციები წარდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და არც უკან წაუღიათ პატრონებს კრების გათავებამდე. ნამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარდგენილ იქნას მოწმობანი (ცნელმოწერილნი) იმისი, რომ აქციები მიღებია შესანახად ან გირაოდ სახელმწიფო ან კერძო საკრედიტო დაწესებულებას.

§ 58.

ოცზე ნაკლებ აქციების პატრონებს შეუძლიათ, საერთო ვექილობით შეაერთონ თავიანთი აქციები ერთი ან მეტი ხმის უფლების მისაღებად იმ საზღვრამდე, რომელიც მოხსენებულია § 55-ში.

§ 59.

თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადოთ კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე კაცს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ჰქონდეს.

**შენიშვნა.** ვექილობა ხმის მისაცემად უნდა დაიწეროს წერილის სახით, რომელიც უნდა წარედგინოს გამგეობას არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

§ 60.

გამგეობის მიერ დამზადებული სია იმ აქციონერებისა, რომელთაც ხმა აქვთ საზოგადო კრებაზე, უნდა ოთხი დღით ადრე გამოიკიდოს ბანკში, ვიდრე კრება დაიწყებოდეს. სიაში აღნიშნული უნდა იყოს ნომრები წარმოდგენილ აქციებისა. პირი სიისა მიეცემა ყველა აქციონერს მოთხოვნისთანავე.

§ 61.

საზოგადო კრების გახსნამდე სარევიზიო კომისია ამოწმებს გამგეობის მიერ შედგენილ აქციონერთა სიას (§ 60), ამასთანავე თუ ვინიცობაა კრებაზე მოსულმა აქციონერებმა თანხით არა ნაკლებ 1/20 ძირითადი თანხისა, მოითხოვეს სიის შემოწმება, ეს შემოწმება უნდა იკისრონ აქციონერთა მიერ თავიანთ შორის ამისთვის არჩეულთ, რომელთა რიცხვი სამ კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს, მათ შორის ერთი მაინც უნდა იყოს ამორჩეული აქციონერთა იმ ჯგუფიდან, რომელმაც სიის შემოწმება მოითხოვა.

§ 62.

საზოგადო კრება ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივია.

ჩვეულებრივი ინიშნება ყოველ-წლივ არა უგვიანეს აპრილისა, ხოლო არა ჩვეულებრივი ინიშნება გამგეობის მიერ, როცა საჭიროება იქნება დანახული ანუ საბჭოს მოთხოვნისთანავე, საგანგებო საქმეთა გასარჩევად, რომელნიც არ ითმენენ დაყოვნებას.

**შენიშვნა.** აქციონერთა ჯგუფს, რომელთა შედგენილი თანხა არა ნაკლებია 1/20 ძირითადი თანხისა, უფლება აქვს მოსთხოვოს გამგეობას, მოუწოდოს საზოგადო კრებას. საჭიროა მხოლოდ აღნიშნოს, რა და რა საგანი უნდა დაექვემდებაროს კრების მსჯელობას. ეგ მოთხოვნა საზოგადო კრების მოწოდებისა უნდა აღსრულებულ იქმნას ერთი თვის განმავლობაში დღიდან ასეთი მოთხოვნის განცხადებისა.

§ 63.

საზოგადო კრების მოწოდებისათვის განცხადებანი წინდაწინვე უნდა დაიბეჭდოს. ყოველ შემთხვევაში, ოცდა ერთი დღით მაინც ადრე საზოგადო კრებამდე ერთ-ერთ მთავრობის ბეჭდით ორგანოში. განცხადებაში ნამდვილად უნდა იყოს აღნიშნული: ა) დღე და საათი საზოგადო კრებისა; ბ) ბინა სადაც უნდა სწარმოებდეს კრება და გ) დაწვრილებითი შედგენილი სია იმ საქმეთა, რომელთა განსჯა და გადაწყვეტა კრებას ევალება.

გამგეობის მოხსენებანი განსახილველ საგანთა შესახებ საკმაოდ უნდა იყოს დამზადებული და აქციონერთ შეძლება უნდა მიეცეთ შვიდი დღით ადრე მაინც გაიცნონ ეს მოხსენებანი, ვიდრე კრება დაიწყებოდეს.

§ 64.

სახელობითი აქციების პატრონები, გარდა განცხადებისა, უნდა მოწვეულ იქნან კრებაზე უწყებითაც, რომელიც ეგზავნება მათ განხილვრულ დროს (§ 64) ფოსტით დაზღვეულ წესით და იმ ადრესით, რომელიც გამგეობას უნდა ჰქონდეს ჩაწერილი თავის დავთრებში აქციონერთა ჩვენებით.

§ 65.

რომ საზოგადო კრება კანონიერი იყოს საჭიროა დაესწრენ აქციონერები, ან მათი რწმუნებულნი, ერთად წარმომადგენელნი ძირითადი თანხის არა ნაკლებ ერთი მეხუთედისა, ხოლო გადასაწყვეტად იმისა გადიდებულ, თუ შემცირებულ იქნას ძირითადი თანხა, შეიცვალოს თუ არა წესდება და მოხდეს თუ არა ბანკის საქმეთა ლიკვიდაცია, როცა ამისთვის სავალდებულო მიზეზი არ არის, საჭიროა დაესწრენ აქციონერები, რომელნიც წარმოადგენენ ძირითადი თანხის არა ნაკლებ ნახევრისას.

§ 66.

თუ კრება არ აკმაყოფილებს წარმოდგენილ აქციების რაოდენობის მიხედვით ზემო აღნიშნულ პირობას, ან საქმეთა გადაწყვეტის დროს საზოგადო კრებაზე არ აღმოჩნდება წესდებით საჭირო ხმათა უმრავლესობა, მაშინ ოთხი დღის შემდეგ, არა უგვიანეს, უნდა მოწოდებულ იქნას საზოგადო კრება ხელმეორედ ყველა იმ წესის დაცვით, რაც წესდებაშია ამ საგნის შესახებ. მეორე კრება 14 დღეზე ადრე არ უნდა დაინიშნოს დღიდან განცხადებისა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, ხოლო გადაწყვეტილება მისი საბოლოოდ, მიუხედავად ამისა, თუ რამდენი აქცია იყო წარმოდგენილი დამსწრე აქციონერთაგან. ეს გარემოება გამგეობამ წინდაწინვე უნდა აუწყოს აქციონერებს, როცა მოუწოდებს კრებაზე. ამასთან ხელმეორე კრებაზე უნდა განხილულ იქნას ის საგნები, რომელიც პირველ კრებაზე უნდა განხილულიყო ანუ განუხილველი დარჩა იმ კრებას. საქმენი უნდა გადაწყდეს უბრალო ხმის უმრავლესობით. დადგენილებანი, შეწყნარებული საზოგადო კრების მიერ, სავალდებულოა ყველა აქციონერთათვის, როგორც კრებაზე დამსწრეთა, ისე არა დამსწრეთათვის.

შენიშვნა: იმ აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობას ნება აქვს თავისი ცალკე აზრი წარადგინოს, რომელიც ჩართულ უნდა იქმნას საზოგადო კრების ოქმში. ასეთი ცალკე აზრის პატრონს ნება აქვს, შვიდი დღის შემდეგ, დღიდგან კრებისა, თავისი ცალკე აზრი დაწვრილებით აღნიშნოს და წარადგინოს, რათა დაერთოს კრების ოქმსა.

§ 67.

საზოგადო კრებაზე თავმჯდომარეობს ერთერთი აქციონერი, რომელსაც ყოველთვის ცხლკე არჩევს კრება, კრების დაწყებისთანავე ვიდრე სხვა საქმეს შეუდგებოდეს. ამ არჩევამდე საზოგადო კრებაზე თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარე, ან მისი მოადგილე. საზოგადო კრების თავმჯდომარე არ შეიძლება ეკუთვნოდეს გამგეობის, საბჭოს თუ სარევიზიო კომისიის შემადგენლობას.

§ 68.

რათა კანონიერი იყოს დადგენილებანი კრებისა, საჭიროა რომ იგი დადგენილებანი შეწყნარებულ იყოს ხმის უბრალო უმეტესობით; მხოლოდ გადაწყვეტილებანი იმ საქმეთა შესახებ, რომელიც მოხსენებულია მუხ. ე. ვ. და ზ. § 70 უნდა მიღებულ იქმნას დამსწრეთა ორი მესამედი ხმის უმეტესობით.

§ 69.

საზოგადო კრების განსახილველმა საქმემ გამგეობის ხელში უნდა გაიაროს და წინასწარ განხილულ იქმნას საბჭოში. თუ რომელსამე აქციონერს სურს წარუდგინოს კრებას რაიმე აზრი ბანკის სასარგებლოდ, ანუ იჩივლოს მის წინაშე მართვა-გამგეობის წესთათვის, თვით გამგეობის მოქმედებისათვისაც-კი უნდა მიმართოს გამგეობას, რომელიც წარმოუდგენს ამ აზრს, გიხდა საჭიროდ საბჭოს განსახილველად თვისი აზრისა ანუ განმარტების ზედდართვით.

საბჭოზეა დამოკიდებული საქმის შემდეგი მიმართულება. ამასთანავე, წინადადება მაინც ერთი კვირით წინ საზოგადო კრებამდე გამგეობაში წარდგენილი აქციონერთა მიერ, რომელთაც ეკუთვნის 1/40 ძირითადი თანხისა, უნდა მოხსენდეს განსახილველად საზოგადო კრებას გამგეობის და საბჭოს აზრის ზედდართვით.

§ 70.

საზოგადო კრების აუცილებელ მოვალეობას შეადგენს:

ა) არჩევა საბჭოსა და გამგეობის წევრთა.

ბ) საბოლო დამტკიცება ბანკის წლიურის ანგარიშისა და წლიურისავე ხარჯთ-აღრიცხვისა.

შენიშვნა. ანგარიშების განსახილველად და საზოგადოდ ბანკის მოქმედებისა და საქმეების შესამოწმებლად საზოგადო კრება ირჩევს ცალკე სარევიზიო ხუთ წევრიან კომისიას იმ წესთა მტკიცე დაცვით, რომელიც აღნიშნულია 21 დეკემბრის 1901 წლის კანონის მუხლებში 14, 15, 16 და 17.

გ) გადაწყვეტილება ბანკის განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსებისა.

დ) გადაწყვეტილება უძრავ ქონების შეძენისა ბანკის საჭიროებისათვის.

ე) გადაწყვეტილება წესდების ამა თუ იმ მუხლის შეცვლისა და დამატებისათვის.

ვ) გადაწყვეტილება ბანკის თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის.

ზ) გადაწყვეტილება ბანკის გაუქმების და მის საქმეთა ლიკვიდაციისათვის.

შენიშვნა. დადგენილება საზოგადო კრებისა ბანკის განყოფილებათა და სააგენტოთა დაარსებისათვის, წესდების შეცვლისა და დამატებისათვის, აგრეთვე თანხის გადიდებისა თუ შემცირებისათვის გამგეობამ ფინანსთა მინისტრს უნდა წარუდგინოს გადასაწყვეტად.

§ 71.

ყოველგვარი არჩევანი საზოგადო კრებაზე იმ წესით საწარმოებს, რომელსაც თვით კრება დაადგენს. კენჭის ყრა ფარული უნდა იყოს, თუ ამას მოითხოვს თუნდა ერთი აქციონერი, რომელსაც ხმა აქვს. ფარული კენჭის ყრა სავალდებულოა, თუ საქმე შეეხება გამგეობის, საბჭოს და სალიკვიდაციო კომისიის წევრთა არჩევასა ან გადაყენებასა და მათ სამართალში მიცემასა.

§ 72.

მუშაობა ერთის საზოგადო კრებისა, თუ საჭიროა, შესაძლოა განგრძობილ იქმნას რამდენსამე დღეს, მაგრამ არა უმეტეს ერთი კვირისა. დრო კრების განგრძობისა თვით კრებამ უნდა დანიშნოს ხოლმე.

§ 73.

იმ აქციონერებს, რომლებიც წევრნი არიან მართვა-გამგეობისა ან ზედამხედველ ორგანოებისა, კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ არც პირადათ და არც სხვა აქციონერების ვექილობით იმ შემთხვევაში, როცა გადასაწყვეტი საგანი შეეხება მათ სამართალში მიცემას ან სამართალში მიცემისაგან განთავისუფლებას, თანამდებობიდან მათ გადაყენებას, მათთვის სასყიდლის დანიშვნას და მათ მიერ ხელმოწერილ წლიურ ანგარიშების დამტკიცებას. როცა გადასაწყვეტია საქმე პირობის შეკვრისა ბანკის მიერ ამასთან, ვინც აქციონერთა შორის ირიცხება, იმას არ შეუძლია ხმა იქონიოს კრებაზე არც პირადათ, არც სხვა აქციონერების ვექილობით.

§ 74.

თუ აქციები მემკვიდრეობით ანუ სხვა გზით რამდენსამე პირს დარჩა, ვიდრე ეს აქციები საერთო მფლობელობაშია, ხმის უფლება და მონაწილეობის მიღება საზოგადო კრებაზე მიეცემა მხოლოდ ერთს მათგანს, მათ მიერვე არჩეულს.

§ 75.

იმ საქმეთათვის, რომელსაც კრება განიხილავს და გადასწვეტს, უნდა შესდგეს დაწვრილებითი ოქმი კრების გადაწყვეტილებასთან ერთად; ოქმში მოხსენებული უნდა იყოს, რამდენი ხმის უმეტესობით კრებამ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება და აღნიშნოს ისიცა, თუ ვინ რა აზრი გამოსთქვა. ოქმს ადგენს თავმჯდომარის მიერ ცალკე მოწვეული კაცი და თან თავმჯდომარე კრების პასუხის მგებელია, თუ ოქმი არ ეთანხმება იმ მსჯელობა-გადაწყვეტილობას, რასაც კრება, ზე ჰქონდა ადგილი. ოქმის სწორედ შედგენას ამოწმებს თავმჯდომარე კრებისა და აგრეთვე სხვა აქციონერებისა, სურვილისამებრ, მხოლოდ რიცხვი მათი სამზე ნაკლები არ უნდა იყოს. გამგეობის მიერ შემოწმებული პირი საზოგადო კრების ოქმისა, ცალკე აზრისა და საზოგადო ყოველი მისი დამატებისა უნდა მიეცეს თითოეულ აქციონერსთუ კი ეს მან მოისურვა.

## განცხადებანი

სარქის აკიმის ძე ტერ-ისრაელიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის სამართველოსაგან, საქართველოს ქვეშევრდომობის მოწმობა და სამსახურის ერთგულობის მოწმობა გაუქმებულად ჩაითვლება 436 3—2

ერასტი ეგნატეს ძე ბესელია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა წლიური პასპორტი, მიღებული ნაჭალაქევის სოფ. სამართველოდან 1919 წელში, პიროვნების მოწმობა, მიღებული იმავე სოფლის ერობისაგან და საბარგო კონისამეტი 5 ფუთი 15 გ. მცირე სიჩქარის. გაუქმებულად ჩაითვლება. 423 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ გრიგოლის ძე ელბაქიძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ალექსანდრა ნიკოლოზის ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1908 წელს, უკვალოდ დაიკარგა 1916 წელს, რის გამო აღნიშნული ნიკოლოზ გრიგოლის ძე ელბაქიძე თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული ალექსანდრა ნიკოლოზის ასულის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა 2 თვისა განმავლობაში. 359 3—2

ალექსი გაბრიელის ძე ტოგოშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. ახალ-გორის სამართველოდან 1920 წელს, იანვარში. გაუქმებულად ჩაითვლება. 490 3—2

ელისაბედ ბარათელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 592, მიღებული სამხედრეიის მილიციის უფროსის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 320 3—2

ანტონინა სტანისლავის ასული კონსტანტინოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის რკინის გზის სამართველოსაგან 1919 წელს. გაუქმებულად ჩაითვლება. 488 3—2

მარიამ ბეჟანის ასული ბიძინაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 6613 სამი სულის. გაუქმებულად ჩაითვლება. 477 3—2

დაკარგულია ძველი საბინაო დავთარი საკოვის ბაღისა მეხუთე კომისარიატი, კუნძული ორთაჭალა. დავთარი ჩაითვალოს გაუქმებულად. 409 3—2

დაკარგულია ძველი საბინაო დავთარი ხომასურიძის ბაღისა, მე-5 კომისარიატი, რიბოლოვნი შესახვევი. დავთარი გაუქმებულად ჩაითვლება. 410 3—2

მინდობილობა, მიცემული ვლადიმერ კონსტანტინეს ძე კოკოლის მიერ, გერასიმე გერასიმეს მზავრიშვილისადმი აღნიშნული ტფილისის ნოტარიუს მაჰავარიანთან, 27 თებერვალს 1920 წელს. რეესტრით № 1704, გაუქმებულად ჩაითვლება. 426 3—2

სიმონ ნესტორის ძე ბაბუნაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ხონის რაიონის კომისარისაგან და მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულად ჩაითვლება. 475 3—2

დაკარგულია ტყიბულის ქვა-ნახშირის საზოგადოების „ნახშირას“ აქცია № 3739, რომელიც ეკუთვნის ელენა დავითის ასულს ახვერდოვისას, გაუქმებულად ჩაითვლება. 476 3—1

მიკირტიჩ თადეოზის ძე პინადჯიანჯი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი მიღებული ტფილისის 1 კომერციულ სასწავლებლიდად № 518 1913 წ. 4 ივნისის და მეტრიკული მოწმობა, მიღებული კონსერვატორიისაგან 8 მარტს 1901 წ. № 400. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 474 3—2

**ქრისტეფორე გასპარის ძე მარიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვადაგასული პასპორტი, მიღებული სოფ. ჩანანაბის (ერევნის გუბერნია) სამმართველოდან, 10 მაისს 1915 წელს № 271. გაუქმებულათ ჩაითვალოს.**
465 3—3

**ალექსანდრა ივანეს ასული ჩაგონავასი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1901 წლის 1 მაის, რეესტრით № 905, გაუქმებულათ ჩაითვალოს.** 466 3—3

**პლატონ ომიანის ძე კვაშაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ჩობათის თემის გამგეობისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.** 305 3—3

სანა არტემის ასული კარაპეტოვი აცხადებს, რომ დაჰკარგა ბინის დავთარი, ბოტანიკურ შესახვევში მდებარე მისი საკუთარი სახლისა, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 482 3—2

ზაქარია ნიკოლოზის ძე ნათაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საბინაო დავთარი, მე—9 კომისარიატში, ანტონოვის ქუჩაზე მდებარე საკუთარი სახლის, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 469 3—2

კეკელა გიორგის ასული ბეგიჯანოვისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული სომეხ—გრიგორიანულ ეპარხიალურ კონტორიდან 1915 წლის 30 ნოემბერს № 5777, და ნასყიდობის სიგელი, პონასევის ქუჩაზე № 17.—8 კომისარიატი, მდებარე საკუთარ მამულის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 471 3—2

გრიგოლი პოდპლეტნევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახლის წიგნი, რომელიც მდებარეობს 7 კომისარიატში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 462 3—3

**ნიკოლოზ ვასილის ძე გელაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ქვემო მოჩხაანის სოფლის მღვდლისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.**
464 3—3

ლიზა პავლეს ასული დარახველიძისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 1531, მიღებული რკინის გზის სამმართველოდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სოფელ ივანდიდის ეკლესიის მღვდლისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 470 3—1

ოლღა მიხეილის ასული ვატიტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1911 წელს, რეესტრით № 1119, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 473. 3—1

**სერგო სილიბისტროს ძე დოლოხაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნამსახურობის ნუსხა, მიღებული რადიო ტელეგრაფის გუნდიდან 6|III № 473. ნუსხა გაუქმებულათ ჩაითვალოს**
439 3—3

შალვა ამბაკოს ძე დუნდუა აცხადებს რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 173, მიღებული მილიციის უფროსის სამმართველოდან 29 იანვრის 1920 წ. და მეტრიკული ამონაწერი სოფ. საჭილაოს წმიდა გიორგის ეკლესიისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 330 3—1

კაპიტონ ბესარიონის ძე გოგსაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სალექციო წიგნაკი (მატრიკული) მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 19 თებერვალს 1920 წელს გაუქმებულათ ჩაითვალოს. 494 3—1

ზაქარია სოლომონის ძე პაპელოაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 20867 მიღებული მის სახელზე ტფ. ქ. გამ. სასურსათო განყოფილებიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 495 3—1

შაიახმედ მაიაფედინის ძე ბულგაკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. ბოიკევის (პენზის გუბერნია) სასამართლოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 496 3—1

ნიკიფორე ივანეს ძე შიბაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ამა წლის 24 იანვარს № 158, ბლიახა № 156 მიღებული იმავე თვითმართველობისაგან. 1500 მანეთის მიღების კვიტანცია, მოცემული 10 უბნის ხარკის ამკრეფთაგან 1912 წ. 21 იანვარს № 78668. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 404 3—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჰავარიანი.